

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის ფუძემდებელი სახელმწიფოებრივი დოკუმენტებია: «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი», გამოცხადებული საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს და «საქართველოს კონსტიტუცია», მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აგებული ამ დოკუმენტებსა და 1918-1921 წლებში მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე, დე-ფაქტო და დე-იურე სცნო ერთა ლიგამ, მასში შემავალმა წამყვანმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება განისაზღვრა «მუღმივ და შეუწყვეტელი» (თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 10). მისი მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტს არ დაუდგენია საკანონმდებლო აქტით კონსტიტუციის გაუქმება ან შეჩერება, ამგვარი დადგენილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სარეფერენდუმო გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეთა მიერ, რის გარეშეც საქართველოს დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა უფლებამოსილება გაეუქმებინა კონსტიტუცია ან შეეჩერებინა მისი მოქმედება.

1992 წლის 2 იანვარს საქართველოში მოხდა კონსტიტუციური წყვეტა, რამაც აღადგინა სამართლიანობა. დასრულდა პერიოდი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველო-საბჭოთა რუსეთის ომის დროს. ამ გარემოებამ განაპირობა კონსტიტუციის ტექსტში მისი დამცავი მექანიზმის შეტანა, რომელმაც უზრუნველყო დოკუმენტის სამართალმემკვიდრეობითობა ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც არ შეეძლო სამართალმემკვიდრეობითობის დაცვით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ამ პრინციპის უხეში დარღვევით მოახდინა უსამართლო კონსტიტუციური წყვეტა, სამხედრო ძალით შეცვალა ადგილობრივი არჩევითი და დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურები, დააწესა საკუთარი პოლიტიკური წეს-წყობილება და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ კონსტიტუციას დაუპირისპირა საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც დაემხო 1992 წლის 2 იანვარს, წარმოადგენდა სამართალმემკვიდრეს არა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, არამედ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა. ამით იგი აღიარებდა არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, არამედ იცავდა საქართველოს სსრ 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციების გოგალიტარულ პრინციპებს და წარმოადგენდა არა საქართველოს პარლამენტს, არამედ ამ კონსტიტუციების საფუძველზე შექმნილი ხელისუფლების უშუალო მემკვიდრეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, იმავე წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმის საფუძველზე, მიიღო საქართველოს

დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც იგი აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიულ ძალმოსილებას. საქართველოს რესპუბლიკის უმენაესმა საბჭომ რეალურად არ განახორციელა მის მიერვე დეკლარირებული პრინციპი. საქართველოს ხელისუფლებამ უარყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობითობა, არ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის ნაცვლად საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა.

1991 წლის 22 დეკემბერს პრეზიდენტმა, რომელმაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ომი და კანონზომიერად დამარცხდა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, რომელიც ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას, მიაჩნია, რომ არ შეიძლება ერთი უკანონო ხელისუფლების შეცვლა მეორე, ასევე უკანონო, ხელისუფლებით და აუცილებელია საქართველოში კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო აცხადებს:

1. საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უმენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები გაიმართება არაუგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, დროებით მთავრობასთან ერთად, თავის უფლებამოსილებას მოიხსნის საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის წინაშე მის პირველსავე სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრები: **თენგიზ კიკოვანი, ჯაბა იოსელიანი.**

1992 წლის 21 თებერვალი.